

შპს ინტერბიზნესის აკადემიის 2021-2022 წლის ანგარიში

(2.10.2021-31.10.2022წ)

საანგარიშო წელს შპს ინტერბიზნესის აკადემიის საქმიანობა წარიმართა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კანონმდებლობით სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად.

ხარისხის მართვის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა მზადება 2021 სასწავლო წლისათვის. გადაიხედა პროგრამებისთვის საჭირო აღჭურვილობა, შეძენილი იქნა სახარჯი მასალა-ნედლეული, გაძლიერდა სასწავლო კომპიუტერები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. დაიწყო საევაკუაციო კიბის მოწყობის შეთანხმების პროცედურები საქართველის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან.

განხილული იქნა სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი გეგმიური ანგარიშები.

შემუშავდა 2021-2022 წ. სამოქმედო გეგმა.

მოდულის განხორციელებაში ახლად შემოსული და ასევე დამატებული პროფესიული მასწავლებლებისთვის, სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ რეგულარულად, ინდივიდუალურ რეჟიმში ტარდებოდა ტრენინგები პროგრამის სპეციფიკის, მოდულის სტრუქტურის, კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების შედგენის და მტკიცებულებების შეგროვების შესახებ.

ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად განხილული იქნა 2020-2021 ს.წ. კვლევის ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები, დაიგეგმა შიდა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გარემოებების აღმოფხვრის გზები.

განხორციელდა ცვლილებები შიდა მარეგულირებელ (დებულებათა კრებული) დოკუმენტში, შემუშავდა:

- მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა და ცვლილება
- ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეთანხმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურა;

განხორციელდა ცვლილებები „ვებტექნოლოგიების“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ და „საფინანსო სერვისების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, განახლდა კატალოგი და აიტვირთა აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოპოვებული იქნა „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. გაიზარდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სტუდენტების მოზიდვის მიზნით, სოციალური ქსელით აქტიურად მიმდინარეობდა სარეკლამო კომპანია აკადემიის ცნობადობის კიდევ უფრო მეტად ასამაღლებლად. ინტერაქტიულ რეჟიმში ხდებოდა დაინტერესებული პირებისათვის მათთვის საინტერესო კითხვებზე მყისიერი რეაგირება.

2022 წელს მიღება გამოცხადდა სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „სკოლამდელი აღზრდა“ „ვებტექნოლოგიები“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“. პროფესიულ პროგრამებზე თვითდაფინანსებით „ბუღალტრული აღრიცხვა“, „საოფისე საქმე“ „საფინანსო სერვისები“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩვენი მიმართვის შედეგად გაუქმდა.

2022 წელს მიღების მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეგისტრანტებისთვის ჩატარდა ორკვირიანი უფასო მოსამზადებელი მეცადინეობები წიგნიერებაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში.

საანგარიშო წელს შემუშავდა „გერიატრიული ასისტენტის“ და „ძიძის“ მოკლევადიანი მომზადების პროგრამები, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა და მოპოვებული იქნა განხორციელების უფლება.

სასწავლო წლის დასაწყისისათვის პერმანენტულად მიმდინარეობდა აკადემიის დირექტორის საინფორმაციო შეხვედრები 2022 წლის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის მეთოდების გაცნობის მიზნით, განხორციელდა პროგრამების ხელმძღვანელების, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრები პროფესიული პროგრამების მიხედვით სტუდენტების ცალკეულ ჯგუფებთან.

ქვეყანაში პანდემიის დასრულებასთან დაკავშირებით, აკადემიაში სასწავლო პროცესი ეტაპობრივად დაუბრუნდა „სტატუს კვოს“, თუმცა პროფესიული სატუდენტებისა და სასწავლო პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, შენარჩუნდა ჰიბრიდული სწავლების ფორმა. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა სასწავლო პროგრამების მიხედვით, შექმნა პროფესიული მასწავლებლების და სტუდენტების ჯგუფები სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელებისათვის. ჩატარდა ინსტრუქციები სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის ელექტრონული პლატფორმის მოხმარების მიზნით.

განხორციელდა შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რომელშიც ჩართული იყო სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და პროფესიული მასწავლებლები, ასევე ვალიდაციის პროცესში აქტიურად გვებმარებოდნენ სკკა-ის შემავალი კოლეჯების პროფესიული მასწავლებლები. შესაბამისად შედეგის დადასტურებაზე შედიოდა ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი.

მოდულების თეორიული კომპონენტის შედეგის დადასტურება ხორციელდებოდა ელექტრონული პლატფორმით, რამაც გამოიწვია არასამართლიანობა და მიკერძოებულობა, ასევე შედეგის გაცნობის პროცედურის დარღვევა, რადგან ტესტირების დასრულებისთანავე პროფესიულ სტუდენტს საშუალება ჰქონდა გადაეხედა საკუთარ ნაწერისათვის და თავად დარწმუნებულიყო მიღებული შედეგის სამართლიანობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე კონკრეტულად ვერიფიკაციის ჩატარების საჭიროება არ დამდგარა.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა ლექციებზე და შედეგის დადასტურებაზე დასწრება, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები: პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კმაყოფილების და ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის თაობაზე. შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა ღონისძიებები, კერძოდ, პროფესიულ მასწავლებლებს დროებით მოსახმარებლად გადაეცათ სამუშაო ლეპტოპები. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა აქტიური დახმარება ლექციებზე ჩართვასა თუ შედეგების დადასტურების წარმართვაში.

ხარისხის მართვის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების მიერ ჩატარდა შეხვედრების ციკლი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებთან შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შესახებ, რომელიც ამოქმედდება და სავალდებულო გახდება 2022 წლიდან.

საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ტარდებოდა სამუშაო შეხვედრების ციკლი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან აკადემიის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის და მისიის დახვეწისათვის. დაიწყო განხილვები სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინტერბიზნესის აკადემიამ პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში პირველმა, ჩაატარა საკვალიფიკაციო გამოცდა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის. გამოცდილების გაზიარების მიზნით, საწავლებლების ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩატარდა შეხვედრა მარნეულის კოლეჯის, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის და ბათუმის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლებთან.

აკადემია რამოდენიმე ეტაპიანი შერჩევის შედეგად მოხვდა იმ ორგანიზაციების სიაში, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) მხარაჭერით ჩაერთონ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიმდინარე პროექტში, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს.

აკადემიის პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ, მონაწილეობა მივიღეთ პროფესიული უნარების სააგენტოს, გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარაჭერით ჩატარებულ კონფერენციაში „უნარების ეკოსისტემა და რეფორმის ახალი ეტაპი“, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების კონცეფციის განხილვაში. აკადემიის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ დარგის ექსპერტებს, მონაწილეობდნენ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა კონფერენციაში, რომელიც მიემდგვნა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალ სისტემას. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „ებრაული მემკვიდრეობის უსაფრთხოება აზერბაიჯანსა და საქართველოში“, აკადემიის უსაფრთხოების სპეციალისტმა განმეორებით გაიარა „შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა“ და 3 წლის ვადით ვადით გაუგრძელდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია დაბალ და საშუალო რისკის ობიექტებზე.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი მონაწილეობდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგში „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში და ტრენინგში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი; აკადემიის სახისხის მართვის სამსახურის სპეციალისტს გადაეცა სერტიფიკატი „შემოქმედებითი აზროვნების“ მოდულის პოლოტირების პროცესში აქტიური ჩართულობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. აქტიური იყო მუშაობა კარიერული დაგეგმვის მიმართულებითაც. ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვა 2020 წლის და 2021 სასწავლოს წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შუფერხებლად განხორციელების და პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, გაფორმდა გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები N 9 და N197 -ე საბავშვო ბაგა/ბაღებთან, შპს სს „ლიდერკრედიტან“, სს „პაშა ბანკთან“. მიმინარეობს მოლაპარაკებების პროცესი სს „ლიბერთი“ ბანკთან გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საანგაროშო წელი დატვირთული იყო აქტივობებით პროფესიული სტუდენტებისათვისაც. „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის სტუდენტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად სსიპ-ქ.ჭიათურის N1 საჯარო და სსიპ ქ.აბაშის N1 საჯარო სკოლებისათვის ვებ-გვერდების შექმნისათვის, სსიპ განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის წერილობითი

მადლობა დაიმსახურა. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ინტერბიზნესის აკადემიის სტუდენტთა რიგით მე-9 კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ „ფარმაციის (სააფთიაქო)“, „საექთნო საქმის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამების სტუდენტები. თემები ძალიან საინტერესოდ იყო წარმოდგენილი და კომპეტენტური ჟიურის მოწონება დაიმსახურა. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი, საუკეთესო თემების ავტორებს კი შესაბამისი ნომინალის სერტიფიკატები. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სკკა-ს და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ მოწყობილ „პროფესიული განათლებით დასაქმების ფორუმში“, სტუდენტები შეხვდნენ პარტნიორ-დასაქმებლების „კრედო ბანკის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც „საფინანსო სერვისების“ პროგრამის სტუდენტებს გააცნეს ბანკში არსებული ვაკანსიები სამუშაო აღწერილობების მიხედვით, „კრედო ბანკის“ მისია და ღირებულებები, შეხვდნენ სს „გუდვილის“ ადამიანური რესურსები მართვის სამსახურის და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც გააცნო „გუდვილში“ არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების შესაძლებლობა. მოეწყო შეხვედრა მწერალთან გივი ჩიღვინაძესთან, სტუდენტებმა მინაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პრე-სააქსელერაციო პროგრამის საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა „სოპრას“ ორგანიზებით. ჩატარდა შეხვედრების ციკლი „სტუმრის დღე“. სტუდენტების წინაშე თემით „მომავლის ხედვა-სისტემური და სტრატეგიული ანალიზის ტექნიკა“, წარსდგა საერთაშორისო კლასის ექსპერტი, ქოუჩი თომას ბინი და ტრენინგი „როგორ დავიწყოთ ბიზნესი“, რომელსაც უძღვებოდა გამოცდილი სტარტაპელი მიხეილ ბინი. ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებისათვის ჩატარდა გასვლითი ლექციები თბილისის ბოტანიკურ ბაღში და გამოფენების ცენტრში „ექსპო-ჯორჯია“. სტუდენტებისათვის მოეწყო ექსკურსია ყაზბეგში. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემაში „ექიმები“.

საანგარიშო წელს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული ტესტირების (ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები) და საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა შერჩევის მეთოდების (მოტივაციური გასაუბრება) საფუძველზე რეიტინგული სიით ჩაირიცხა 178 პროფესიული სტუდენტი.

2021 წელს სასწავლო პროცესს აგრძელებდა 113 პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეუჩერდა 97 პროფესიულ სტუდენტს. პროფესიული ორიენტაციის შეცვლის გამო შიდა მობილობით ისარგებლა ორმა სტუდენტმა, ხოლო გარე მობილობით სამმა პროფესიული სტუდენტმა. 2021-2022 სასწავლო წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 95 პროფესიულ სტუდენტს;

საანგარიშო წელს შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება და აქტივობა განთავსებული იყო აკადემიის ვებ გვერდზე, ასევე მუდმივად შუქდებოდა სოციალური ქსელით facebook -ით, იყო საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დამტკიცებულია
შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" დირექტორის
2021 წლის 4 ოქტომბრის N01-30 ბრძანებით

დანართი 1

სამოქმედო გეგმა 2021-2022 ს.წ.

მიზანი	ამოცანა	აქტივობა	თვეები													სესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი	შემსრულებელი	ბიუჯეტი	რისკები	შესრულების აღნიშვნა და მტკიცებულება
			X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX							
1. სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი დახვეწა-ამაღლება	1.1. მარეგულირებელ დოკუმენტებში ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების და პროფესიული განათლების სივრცეში არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა.	პროგრამებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.	საჭიროებისამებრ													ბრძანებები , ოქმები, ცვლილებები დოკუმენტებში	ხარისხის მართვის სამსახური	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი		არა	შესრულებულია შემუშავდა მოკლევადიან მომზადება/გადაცხადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა და ცვლილება შევიდა დებულებათა კრებულში ბრძ. N 01-15; 08.08.22წ; შემუშავდა შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურა და ცვლილება შევიდა დებულებათა კრებულში ბრძ. N 01-31; 20.10.22წ; პროფესიულ საგანმანათლებლ

																		ო პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები ჩარჩო-დოკუმენტების შესაბამისად: ბრძ. N01-35; 26.10.2021წ (ვებტექნოლოგიები, ინფორმაციის ტექნოლოგია, საფინანსო სერვისები) სამოქალაქო მოდულის ცვლილება და კრიდიტების გაზრდა	
1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დამატება	კვლევა; სამუშაო ჯგუფის შექმნა, პროგრამის ხელმძღვანლის განსაზღვრა; ადაპტირება(პროგრამის და მოდულების ადაპტირება, სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო რესურსის ადაპტირება, ადამიანური რესურსი, ბაზებთან ხელშეკრულების გაფორმება, მატერიალური რესურსი); ფინანსური რესურსი													ბრძანებები; ოქმები; მოხსენებები ბარათი; ადაპტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ხელშეკრულებები(პრაქტიკის ბაზებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან); კვლევის ანალიზი; ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება	ხარისხის სამსახურის უფროსი	სამუშაო ჯგუფი	4000	პროგრამის განხორციელება უარი	შესრულებულია ბრძ.N 01-31; 15.10.2021წ. ავტ.საბჭოს გადაწყვეტილება N 136508; 11.02.2022

		<p>პროგრამის შეფასების მექანიზმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება; პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი; ჰიბრიდული სწავლების დანერგვა.</p>		<p>პროგრამაში შეტანილი ცვლილება და აქტი; გამოკითხვების ჩატარება; მეცადინეობებზე დასწრება; პრობლემების იდენტიფიცირება; რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროებების გათვალისწინებით შემდგომი განვითარება</p>		<p>ს განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი</p>			<p>16.11.2021წ ბრძ. N01-46; 20.12.2021წ ბრძ. N01-34; 31.10.2022წ.;</p>
<p>1.7. მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა</p>	<p>სამუშაო ჯგუფის შექმნა, მოკლევადიანი პროგრამის შემუშავება-დამატება</p>	<p>საჭიროებისამებრ</p>	<p>სამუშაო ჯგუფის ოქმები, მომზადების პროგრამა; ბრძანება. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების გადაწყვეტილება;</p>	<p>ხარისხის მართვის სამსახური</p>	<p>ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი; სამუშაო ჯგუფი.</p>	<p>3500 ლარი</p>	<p>პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას ეუარყ ოფითი გადაწყვეტილება; პროგრამებზე სწავლის ისმსურველთა დაბალ</p>	<p>შესრულებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძ. N051028; 21.01.2022 და N450286; 04.05.2022</p>	

										ი მაჩვენე ბელი.					
	1.8. შიდა მონიტორინგი	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელებ ა								კითხვარები , გეგმა, დასწრების ოქმები, შეფასებისკ ითხვარი, ანალიზისდ ოკუმენტი.	ხარისხის მართვის სამსახური	მონიტო რინგის ჯგუფი		არა	შესრულებულია ლექციებზე დასწრების დასწრების ფურცლები
	1.9. წლიური თვითშეფასება	სტრუქტურულ ი ერთეულე ბის მიერ შეესებული თვითშეფასება;													არ შესრულებულია გადატანილია 2023 წ იანვრის ბოლომდე
	1.10. განათლების მიღების ხელშეწყობა სსსმ პირებისათვის	სსსმ პირთა არსებობის შემთხვევაში მათ საჭიროებებზე მორგება და საჭირო გარემოს მოწყობა- შეთავაზება.							საჭიროების შემთხვევაში, სწავლის დაწყებამდე	ადაპტირე ბული გარემო	დირექტო რი;	ადმინის ტრაციის უფროსი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურ ის უფროსი; ხარისხის მართვის სამსახურ ის უფროსი; უსაფრთხ ოების სამსახურ ის უფროსი.	საჭირ ების შემთ ხვევა ში გამოი ყენებ ა სამეურ ნეო და ინვეს ტირებ ის ფონდი დან	არა	არ დამდგარა საჭიროება
2. სტუდენტები და კურსდამ თავრებუ ლები	2.1. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ს მუდმივი შეღავათი.	სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე დაწესებული სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათის						საჭიროებისამებრ	ბრძანება	დირექტო რი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურ ის უფროსი; ფინანსურ ი	5000 ლ. ფარგ ლებში ი	არა	შესრულებულია პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებ ი გადასახადის თვეობრივი გადაწარმოებით და ბრძანება N01	

	2.7. კარიერული დაგეგმვის სამსახურის სრულყოფა	კურსდამთავრებული ბაზის შექმნა, ვაკანსიების კვლევა და კურსდამთავრებულბთან დაკავშირება										კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი; კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი.	კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი;		არა	შესრულებულია შექმნილია კურსდამთავრებულთა ბაზა, სოციალური ქსელი და სისტემატიურად ხდება ვაკანსიების გაცნობა.
3. პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება	3.1. სასწავლო და ადმინისტრაციის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის და მეთოდური კონსულტაციების უზრუნველყოფა	სიახლეების გაცნობა, ტრენინგები ადგილზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე გაგზავნა და ანგარიშის მოწოდება, მეთოდური მასალის მიწოდება.										სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში) ფოტო მასალა, სასწავლო და ადმინისტრაციის პერსონალის ანგარიში/პრეზენტაცია ბრძანება მივლინების შესახებ.	დირექტორი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი; საქმისწარმოების მენეჯერი	2000	არა	შესრულებულია ტრენინგი „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“; ტრენინგი „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი“; „შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა“ საერთაშორისო კონფერენცია „ებრაული მემკვიდრეობის უსაფრთხოება“

																			აზერბაიჯანსა და საქართველოში“,
3.2. სასწავლო პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის ორგანიზება;	კონფერენციის დაგეგმვა, კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა როგორც აკადემიაში ისე აკადემიის გარეთ.													კონფერენციის დღის წესრიგი, ფოტომასალა, სერთიფიკატები	დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი; კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი	1000 ლ	COVID ინფექციის გავრცელების სამიშროება;	არ შესრულებულია
3.3. სასწავლო პერსონალის მიერ სამუშაო პირობების და ადმინისტრაციის შეფასება	გამოკითხვის ჩატარება და ანალიზი													კითხვარები/ტრანსკრიპტი, ანგარიში	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	მონიტორინგის ჯგუფი;		არა	შესრულებულია ანგარიში და კითხვარი
3.4. ადმინისტრაციის პერსონალის საჭიროებათა კვლევა	გამოკითხვის ჩატარება და ანალიზი													კითხვარები/ტრანსკრიპტი, ანგარიში	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	მონიტორინგის ჯგუფი;		არა	შესრულებულია
4.1. მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის/საინფორმაციო სასწავლო	მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის შემენა/სრულყოფა;	საჭიროებისამებრ										განახლებული/სრულყოფილი ტექნიკური	დირექტორი;	ადმინისტრაციის უფროსი; ფინანსურ	საჭიროების მიხედვით ფონდ	არა	შესრულებულია		

<p>4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეტაპობრივი სრულყოფა</p>	<p>რესურსების მუდმივად განახლება/განვითარება სრულყოფა</p>	<p>IT ინფორმაციის ტექნოლოგიები სინფრასტრუქტურის შეფასება; საინფორმაციო ტექნოლოგიები ს IT რისკების მართვა</p>	<p>სისტემატიურად</p>										<p>ი და მატერიალური აღჭურვილობა, შესყიდვები/ზედნადებები/მიღება-ჩაბარებისა კტი/ინვოისი;</p> <p>IT მომსახურების ხელშეკრულება და მომსახურების გაწევის თვის ასანაზღაურებელი ინვოისები;</p>		<p>ი მენეჯერი;</p>	<p>ინვენტარი 10000 ლ</p>		<p>შესრულებულია</p>
	<p>4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რესურსებით უზრუნველყოფა</p>	<p>მოდულის განმახორციელების მიერ მოთხოვნილი რესურსების და სახარჯი მასალით უზრუნველყოფა</p>											<p>განხორციელებულ მოდულებზე პროფ. მასწავლებლის რესურსების მოთხოვნის შევსებული ფორმები, შესყიდვები/ზედნადებები/მიღება-ჩაბარებისა კტი/ინვოისი</p>	<p>დირექტორი</p>	<p>ფინანსური მენეჯერი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოდულის განმახორციელებელი; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის</p>	<p>საჭიროების მიხედვით ფონდი ინვენტარი 10000 ლ</p>	<p>არა</p>	<p>შესრულებულია</p>

<p>4.8. პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მართვა;</p>	<p>პროფესიული მასწავლებლებს ერთიანი ელ-ფოსტის განახლება; პროფესიული სტუდენტების მიერ-ჯგუფების განახლება კურსდამთავრებულთა გასუფთავება და ახალი ჯგუფების დამატება</p>												<p>შექმნილი ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისთვის</p>	<p>სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი</p>	<p>სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი; საქმისწარმოების მენეჯერი;</p>			<p>შესრულებულია</p>
<p>4.9. საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობის მუდმივი სრულყოფა</p>	<p>სოციალური ქსელით საინფორმაციო პოსტების გამოქვეყნება-რეკლამირება.</p>												<p>ხელშეკრულებები/შესყიდვები/ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა.</p>	<p>დირექტორი;</p>	<p>დირექტორიადმინისტრაციის უფროსი; ფინანსური მენეჯერი;</p>	<p>8000-10000ლ</p>	<p>არა</p>	<p>შესრულებულია</p>
<p>4.10. ფინანსური მდგომარეობისა და შესაძლო რისკების ანალიზი</p>	<p>ხარჯთაღრიცხვა და ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა.</p>												<p>ხარჯთაღრიცხვა, ანგარიში</p>	<p>დირექტორი;</p>	<p>ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი, ფინანსური მენეჯერი;</p>		<p>არა</p>	<p>შესრულებულია</p>